ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95252202**

თარიღი:**08/08/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 46-ე მუხლის მე–2 და მე-4 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნებისათვის განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული იმ შენობა–ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა, თანახმად დანართი №1-სა.
2. საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება/გაკვრა აკრძალულია განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დანართში მოცემულ საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებისა და ექსტერიერებში, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საგზაო ნიშანზე.
3. წინამდებარე განკარგულება გადაეგზავნოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, №80 ქედის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).
4. წინამდებარე განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე (www.keda.gov.ge) გამოქვეყნება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა–ნაგებობების განსაზღვრის შესახებ, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების (სააგიტაციო მასალის) განთავსება“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №გ-95.95242436 განკარგულება.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი